ახალი ხარაგაული

343 (2) 26 იანვარი, 2017 წ

პირველად ხარაგაულში-განბანვა მდინარე ჩხერიმელაში

19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით, ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სამლოცველო სახლში ეკლესიის წინამძღვარმა **მამა ანტონმა** (სულთანიშვილი) საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა და წყალი აკურთხა. წირვის დასრულების შემდეგ მოძღვარმა მრევლი დალოცა და ხარაგაულის მოსახლეობას ნათლისღების დღესასწაული მიულოცა. მორწმუნეებს წყლის მიღება უზმოზე შეუძლიათ, განსაკუთრებით – ავადმყოფობისა და განსაცდელის დროს.

ამავე დღეს, მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ეპისკოპოსის, მეუფე მელქისედეკის (ხაჩიძე) ლოცვა – კურთხევით, მამა ანტონმა მდინარე ჩხერიმელაში განბანვის ცერემონიალი ჩაატარა.

ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებული წირვა საქართველოს ყველა მართლმადიდებელ ტაძარში აღევლინა.

ეკა შავიძე

საკრებულოს აპარატში საზოგადოებასთან ურთიერთობის წამყვანი სპეციალისტის შტატი არ გაუქმდება

16 იანვარს გამართულ ბიუროს სხდომაზე საკრებულოს აპარატის დებულებაში შესატანი ცვლილების თაობაზე იმსჯელეს. საკითხი საკრებულოს თავმჯდომარემ, **მანანა ბარბაქაძემ**, წარადგინა, რაც საკრებულოს აპარატში საზოგადოებასთან ურთიერთობის წამყვანი სპეციალისტის შტატის გაუქმებას ეხებოდა.

საკრებულოს აპარატში საზოგადოებასთან ურთიერთობის წამყვანი სპეციალისტის შტატის გაუქმებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, **ვარლამ ჭიპაშვილი**. მისივე თქმით, დეპუტატებმა საკრებულოს გაძლიერებაზე უნდა იზრუნონ და საზოგადოებასთან ურთიერთობის შტატის გაუქმება მართებული არ იქნება. ,, საკრებულო არის კოლეგიალური ორგანო და მოგიწოდებთ, საკითხი დღის წესრიგიდან ამოვიღოთ. ჩვენ ბიუჯეტის განხილვისას საკრებულოს ხარჯები მაქსიმალურად შევამცირეთ და თუკი ამ შტატს შევინარჩუნებთ, ვფიქრობთ, კანონს არ დავარღვევთ“ – დასძინა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ.

ჭიპაშვილის ინიციატივით აღნიშნული საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა და საკრებულოს აპარატში არსებული საზოგადოებასთან ურთიერთობის წამყვანი სპეციალისტის შტატი კვლავაც შენარჩუნდა.

თამარ მაღრაძე

დეპუტატებმა მამგეობის თანამშრომლების ხელფასების კლებას მხარი არ დაუჭირეს

18 იანვარს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა გამგეობის თანამშრომლების ხელფასების კლებას მხარი არ დაუჭირეს. საკითხი მათ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, **კახაბერ გოლუბიანმა**, გააცნო, რაც საჯარო მოხელეების სახელფასო ანაზღაურების 8%-იან კლებას ითვალისწინებდა. კენჭისყრამდე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ვარლამ ჭიპაშვილმა**, კოლეგებს საკითხთან დაკავშირებით კომისიის უარყოფითი დასკვნა გააცნო და დეპუტატებს მოუწოდა, რომ გამგეობის მიერ წარმოდგენილი საკითხისათვის (თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს შემცირების შესახებ) მხარი არ დაეჭირათ.

,,კომისიის უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ საჯარო მოხელეებს ხელფასები არ მოჰკლებოდათ. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მხრიდან ვერ იქნა სათანადოდ დასაბუთებული ამ ეტაპისათვის ხელფასების კლების აუცილებლობა. აქედან გამომდინარე უმრავლესობამ ვერ გავიზიარეთ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ვარიანტი,“ – დასძინა ჭიპაშვილმა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე განმარტავს, რომ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას გამგეობის თანამშრომლებისათვის ხელფასების შემცირების თაობაზე საუბარი არ ყოფილა. მისივე თქმით, დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შემცირება დღეს მისთვის მიზანშეწონილი არაა.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, **ვლადიმერ გელაშვილის**, განცხადებით, მთავრობის განკარგულების მიხედვით, მართალია, ადმინისტრაციული ხარჯები შემცირდა, მაგრამ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მწირი ბიუჯეტიდან გამომდინარე, საჭირო გახდა გამგეობის თანამშრომლების ხელფასების შემცირებაც. **ვლადიმერ გელაშვილი** ამბობს, რომ თუ საჯარო მოხელეებს ხელფასები არ შეუმცირდებათ, წლის ბოლომდე დაახლოებით 65 ათასი ლარი იქნება დამატებით საჭირო.

საკრებულოს წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილებთ გამგეობის თანამშრომელთა შრომით ანაზღაურებაზე კლება არ განხორციელდა. ამ საკითხში ერთსულოვანი აღმოჩნდა როგორც უმრავლესობა, ასევე ოპოზიციური პარტიებიდან წარმოდგენილი დეპუტატები.

თამარ მაღრაძე

მუნიციპალიტეტის მამგეობელი, ნიკოლოზ თოფურიძე, ისტორიულ მუზეუმში საშობაო ღონისძიებას ეესწრო

მაცხოვრის შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები ხარაგაულში კვლავ გრძელდება. სწორედ ამის დასტური გახლდათ 16 იანვარს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში გამართული საღამო ,,შობის სიზმარი“. წარმოდგენილ პიესაში ხარაგაულის სკოლამდელი და სასკოლო ასაკის 50 ბავშვი მონაწილეობდა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, **ნიკოლოზ თოფურიძე**, მოადგილე **თემურ ჩხეიძე**, გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსი **ირინე ჩხეიძე**, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველო სახლის წინამძღვარი **მამა ანტონი (სულთანიშვილი)** და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები.

ღონისძიების წამყვანებმა, **ვატო მაღრაძემ** და **ქრისტინე ღაცაბიძემ**, პატარა ფერიებთან ერთად სხვადასხვა ეპოქის საქართველოში გვამოგზაურეს. არქეოლოგიის დარბაზში პირველყოფილი ადამიანები ,,დაგვხვდნენ“, ეთნოგრაფიისა და ბურჟუაზიის დარბაზში ვიხილეთ, როგორ ხვდებოდნენ წინა ეპოქაში ადამიანები შობა-ახალ წელს. გზადაგზა ,,გვეგებებოდნენ“ ბავშვების მიერ განსახიერებული ცნობილი ადამიანები: მწერლები, პოეტები, მეცნიერები, სპორტსმენები...ის ადამიანები, ვისი სახელის ხსენებითაც სიამაყით ივსება თითოეული ხარაგაულელის გული. საბოლოოდ, ყველა ერთად ნაძვის ხესთან შევიკრიბეთ, სადაც კიდევ ერთხელ მოვიხიბლეთ სალომე კვირიკაშვილის შესრულებული სიმღერით.

დასასრულს, პატარა მონაწილეები მუზეუმის დირექტორმა, ნინო დიდიძემ, ტკბილეულით დაასაჩუქრა და ადგილობრივ თვითმმართველობას მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი, **ნიკოლოზ თოფურიძე**, მუზეუმში გამართული ღონისძიებით მოხიბლულია და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

,,რაც დღეს ვნახე, ეს მართლაც გასაოცარია... აღფრთოვანებული ვარ ამ კეთილშობილი ადამიანების პროფესიონალიზმით, ენთუზიაზმითა და პატრიოტიზმით. თუ არა დიდი სიყვარული შენი ქვეყნისა, სხვაგვარად შეუძლებელია ასეთ პირობებში ამგვარი ზეიმის მოწყობა. ვთვლი, რომ მუზეუმის თანამშრომლები, დირექტორის ხელმძღვანელობით, ის ღირსეული ქართველები არიან, რომლებიც ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე კეთილშობილური საქმისთვის ირჯებიან. კვლავ ვეღოდები ხარაგაულში ბევრ განსაკუთრებულ დღეს.“ – დასძინა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

ნიკოლოზ თოფურიძე თვლის, რომ ხარაგაულში საბალეტო სტუდიის არსებობა აუცილებელია. ,,გამაოცა ამ ბავშვების ნიჭიერებამ. დღეს დავრწმუნდი, რომ ხარაგაულელ ბავშვებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ საბალეტო სტუდია. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ფინანსები მოვიძიო და ეს ჩანაფიქრი სისრულეში მოვიყვანო. ვთვლი, რომ აღნიშნული სტუდიის არსებობა ხელს შეუწყობს მომავალი თაობების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას. ადგილობრივი ხელისუფლება მზადაა, დაეხმაროს ნიჭიერ ბავშვებს თავიანთი შესაძლებლობების რეალიზებაში.“ – აღნიშნა გამგებელმა.

ლელა გუგულაშვილი

რის მიხედვით ანიჭებს, ან უხსნის სახელმწიფო ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსს?

სოციალურად დაუცველთა შემწეობის საკითხი ხარაგაულში აქტუალობას არ კარგავს. არის შემთხვევები, როდესაც რიგ პირებს ფულადი დახმარება დაუსაბუთებლად უწყდებათ. მოსახლეობის კეთილდღეობის დონის შეფასების არაპირდაპირი მეთოდი, ანუ ქულების მინიჭების სისტემა, 2005 წლიდან დაინერგა. ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია კი ბოლოს 2015 წელს შეიცვალა. რის მიხედვით ანიჭებს, ან უხსნის სახელმწიფო მოქალაქეს სოციალურად დაუცველის სტატუსს, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ხარაგაულის სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ნაზი გვეღესიანი, გვესაუბრება.

-ბოლო წლების განმავლობაში შემწეობა მრავალ სოციალურად დაუცველს მოეხსნა. ეს კი იმ ფონზე ხდება, როდესაც მათი მატერიალური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. როგორ ახსნით ამ ფაქტს?

- მუდმივად არსებობენ ადამიანები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოხატავენ იმის გამო, რომ ვერ მოხვდნენ სოციალურად დაუცველთა პროგრამაში. ბაზაში ოჯახების შემოდინება და გადინება მუდმივი პროცესი იყო და არის. ყოველთვიურად იცვლება მათი რაოდენობა, ვიღაც შემოდის ბაზაში, ვიღაც გადის. ბუნებრივია, ყველა ადამიანი, რომელიც ვერ ხდება ფულადი დახმარების მიმღები, სუბიექტურად თვლის, რომ ის უნდა გამხდარიყო საარსებო შემწეობის მიმღები. სახელმწიფოს წინაშე კი დგას ამოცანა – ორი შეჭირვებული ოჯახიდან გამოარჩიოს ის,

გაგრძელება ▶ 2 გვ.

რის მიხედვით ანიჭებს, ან უხსნის სახელმწიფო ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსს?

▶1 ბბ.

რომელსაც ყველაზე მეტად უჭირს. მეთოდოლოგია ემსახურება იმას, რომ განისაზღვროს ოჯახის საჭიროებები და შემწეობა ყველაზე უფრო მოწყვლად ოჯახს მიეცეს.

- ახალი მეთოდოლოგიით, სარეიტინგო ქულებზე გავლენას აღარ ახდენს პირველადი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რაც ერთგვარი წინა პირობა იყო იმისა, რომ საარსებო შემწეობით უფრო მეტ მოქალაქეს ესარგებლა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ვერ გაამართლა ახალმა პროგრამამ, თუ ოჯახების ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა?

- ოჯახების შეფასებისას პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი აღარ ახდენს გავლენას მათ ქულაზე. დეკლარაციაში საერთოდ აღარ იწერება სარეცხი მანქანა, ტელევიზორი და სხვა ტექნიკა. იწერება მხოლოდ სახლი, აგარაკი, მიწა, პირუტყვი და სხვა შემოსავლის მომტანი ქონება... ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა ძველი მეთოდოლოგიის პირობებში უფრო მეტი იყო, ვიდრე ახლაა. 2015 წლის აპრილში, ანუ სანამ ახალი მეთოდოლოგია ამოქმედდებოდა, საარსებო შემწეობას საქართველოს მასშტაბით 403 196 პირი იღებდა, 2016 წლის დეკემბრის მონაცემებით ეს ციფრი 473 084 შეადგენს. უნდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიოში არ არსებობს შეფასების უნივერსალური პროგრამა, რომელიც 100%-ით განსაზღვრავს ყველა ოჯახის საჭიროებას და ყველა კმაყოფილი იქნება შედეგით. ბუნებრივია, პროგრამა ვერ მოიცავს ყველა იმ ადამიანს, რომელსაც სახელმწიფოსაგან დახმარების მიღება სურს. მან უნდა გამოარჩიოს ყველაზე მეტი საჭიროების მქონე.

– რამდენად ახდენს გავლენას სარეიტინგო ქულაზე აგენტის სუბიექტური აზრი?

-აგენტის სუბიექტური შეფასება ოჯახის ქულის დათვლაში არ მონაწილეობს. შესაბამისად, მცდარია მოსაზრებები, რომ აგენტმა არ გაითვალისწინა ოჯახის მძიმე მდგომარეობა და არ დაუნიშნა საარსებო შემწეობა. აგენტი მხოლოდ აღწერს ოჯახის მდგომარეობას და დეკლარაციაში შეაქვს ის ინფორმაცია, რასაც ოჯახის წევრები ეუბნებიან. შემდეგ ამ დეკლარაციის სისწორეს თავად ბენეფიციარი აწერს ხელს.

– ვიცით რამდენიმე ოჯახი, რომლებიც სიღარიბის ზღვარზე იმყოფება, თუმცა მათ სოციალური დახმარება მოეხსნათ. როდესაც ასეთ მძიმე ეკონომიურ პირობებში ცხოვრობენ ჩვენი მოქალაქეები, უწევთ თუ არა რეკომენდაციას თქვენს ზემდგომთან, რათა მოხდეს მათი ხელახლა გადამოწმება?

-ასეთ დროს, შესაძლოა, სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივმა განყოფილებამ შუამდგომლობით მიმართოს სააგენტოს ხელმძღვანელობას, თუმცა ამ შემთხვევაშიც არსებობს გარკვეული წესები. თუკი ოჯახის დეკლარაცია სწორადაა შევსებული და არ არსებობს გადამოწმების საფუძველი, ასეთ დროს ხელახალ გადამოწმებას აზრი არ აქვს. ახალი გარემოების გარეშე ოჯახი მაინც იგივე ქულას მიიღებს.

– როგორც ვიცით, ქულათა მაჩვენებელი ხუთ კატეგორიად დაიყო. რომელი კატეგორიებია ეს და რამდენ ქულაზე იღებს ოჯახი ფულად დახმარებას?

– დეკლარაციის შევსების შემდეგ ქულა ითვლება პროგრამულად. 30 ათას ქულამდე ოჯახები იღებენ (თითოეულ წევრზე) 60 ლარს. 30 000-დან 57 000 ქულამდე – 50 ლარს, 57 000-დან 60 000 ქულამდე– 40 ლარს. 60 000-დან 65 000 ქულამდე – 30 ლარს. ყველა ამ ოჯახს თითო ბავშვზე – 10 ლარი აქვს დანამატი, რაც „იუნისეფის“ ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია იყო. ასევე ბავშვზე 10-ლარიან დანამატს ის ოჯახებიც იღებენ, რომელთა სარეიტინგო ქულაც 65 000 – დან 100 000 ქულამდეა.

– ამჟამად რამდენი პირი სარგებლობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ფულადი დახმარებით და რამდენად ნაკლებია ეს ციფრი წინა წლებთან შედარებით?

– 2016 წლის დეკემბრის მონაცემებით ხარაგაულის რაიონში საარსებო შემწეობის მიმღები 7 000-მდე პირი იყო. 2014 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ფულად დახმარებას 8 000-ზე მეტი ადამიანი იღებდა.

– იგეგმება თუ არა ქულების დათვლის მექანიზმში რაიმე ცვლილების განხორციელება?

– პროგრამა 2015 წლის მაისში შეიცვალა, რასაც საკმაოდ შრომატევადი სამუშაო უსწრებდა წინ. მაგალითად, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ჩატარებული კვლევები და ა.შ. აქედან გამომდინარე, რაიმე ძირეულ ცვლილებებს ჯერჯერობით არ ველოდებით.

ეკა შავიძე

რა კრიტერიუმებით მოხდა ა(ა) იპ-ებში თანამშრომლებზე ხელფასების კლება

13 იანვარს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის (თავმჯდომარე **ვარლამ ჭიპაშვილი**) სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა ა(ა)იპ, „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის,“ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების,“ ,,შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის,“ „ცენტრალური ბიბლიოთეკის,“ „კულტურის ცენტრისა“ და „ხარაგაულკეთილმოწყობის“ სამსახურების დირექტორების მიერ მოისმინეს ინფორმაცია, თუ როგორ გადაანაწილეს 2017 წლის სუბსიდია და რა კრიტერიუმებით მოხდა თანამშრომლებზე ხელფასების კლება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას ა(ა) იპ-ების ხელმძღვანელებთან ერთად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, **ნიკოლოზ თოფურიძე**, გამგებლის პირველი მოადგილე, **არჩილ მაღრაძე** და გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, **ვლადიმერ გელაშვილი**, ესწრებოდნენ.

კომისიის წევრების მიერ საერთო კრიტიკა გამოითქვა ა(ა)იპ, „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორის, **დავით გელაშვილის** მიმართ, რაც, ძირითადად, ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელის მიერ ორგანიზაციაში ხელფასების არათანაბარი კლებით იყო განპირობებული.

„სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის“ უფროსის მიმართ პრეტენზია აქვს **ლევან ჭყოიძეს**. ის თვლის, რომ სამსახურიდან უკანონოდ გაათავისუფლეს. ასევე გაუგებარია მერაბ იჩქიტიძისთვის, რატომ მოხდა მისი სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობიდან მთავარ სპეციალისტად გადაყვანა.

დავით გელაშვილი განმარტავს, რომ ხელფასი იმ თანამშრომლებს დააკლო, რომლებიც ნაკლებ დატვირთულნი არიან. **ლევან ჭყოიძის** სამსახურიდან გათავისუფლებას კი „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორი კანონიერად მიიჩნევს და აცხადებს, რომ იგი სამსახურს ხშირად აცდენდა და მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ვერ ასრულებდა. რაც შეეხება მერაბ იჩქიტიძის მთავარ სპეციალისტად გადაყვანას, ბატონი დავითი აცხადებს, რომ მოადგილის შტატი გაუქმდა და, აქედან გამომდინარე, მოხდა მისი მთავარ სპეციალისტად გადაყვანა.

საღანძილის მაჟორიტარმა დეპუტატმა, **დავით კიკნაძემ**, უმრავლესობის სახელით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა და განმარტა, რომ დასაქმებული ადამიანების სახლში გაშვებას, ისევ ხელფასების კლება სჯობს. „შრომითი ანაზღაურების შემცირების დროს დიფერენციაცია უნდა მოხდეს. ხელმძღვანელი თანამშრომლებს საკუთარი შეხედულებისამებრ არ უნდა აკლებდეს ხელფასს.“ – აღნიშნა დავით კიკნაძემ.

ხელფასის კლებასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოხატა ასევე საკრებულოს წევრმა **ნონა ზურაბიანმა**, რომელიც ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრში“ მუშაობს. დეპუტატის განცხადებით, მას სახელფასო ანაზღაურება 160 ლარით შეუმცირდა და ამის მიზეზი მისთვის გაუგებარია.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, **ვარლამ ჭიპაშვილის**, აზრით, იმ ფონზე, როდესაც თანამშრომლებს ხელფასები აკლდებათ, მიზანშეწონილი არაა სამსახურში ახალი კადრის დამატება.

,,ტურიზმის ცენტრის“ დირექტორის, **ბერიკა თურმანიძის**, განმარტებით, ა(ა)იპ-ის თანამშრომლების ხელფასების შემცირებაც და ზრდაც თანამშომელთა საქმიანობის განსაზღვრის მიხედვით მოხდა. რაც შეეხება ახალი კადრის დამატებას, თურმანიძე ამბობს, რომ ეს საჭიროებიდან გამომდინარე მოხდა. მისივე თქმით, ახალ თანამშრომელს ტურისტული ბილიკების მოწესრიგება და მარკირება დაევალება.

ბაღების გაერთიანების დირექტორმა, **მამუკა ჭიპაშვილმა**, ორგანიზაციაში მიმდინარე ცვლილებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე საბავშვო ბაღებიდან თანამშრომელთა გათავისუფლება არ მოხდება. მისივე თქმით, ხელფასები აღმზრდელებსა და თანაშემწეებს 10%-ით შეუმცირდათ, ხოლო ადმინისტრაციას 30-40%-ით. „არის ისეთი საბავშვო ბაღები, სადაც ბავშვების რაოდენობა თანამშრომელთა რაოდენობას არ შეესაბამება. აქვე მინდა განვაცხადო, რომ პირველი აპრილიდან ბაღებში რეორგანიზაცია იწყება და ყველა ბაღსა და პედაგოგს აკრეტიდაციის გავლა მოუწევს. აღსაზრდელთა რაოდენობის მიხედვით დადგინდება, თუ რამდენი შტატი უნდა იყოს ამა თუ იმ ბაღში“ – დასძინა სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ახლად დანიშნულმა დირექტორმა.

კადრები შემცირდა ა(ა)იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობაშიც“. **დავით ლაცაბიძის** თქმით, სამსახურიდან იმ თანამშრომელთა დათხოვნა მოხდა, რომლებსაც შრომითი ხელშეკრულების ვადა გაუვიდათ და მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობას პირნათლად ვერ ასრულებდნენ.

რაც შეეხება ,,კულტურის ცენტრს“, როგორც დირექტორი, **ვასილ კიკნაძე**, განმარტავს, სამსახურში ყველა შტატი შენარჩუნდა, თუმცა პენსიონრებს ხელფასები 100 ლარით შეუმცირა.

დასასრულს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ნიკოლოზ თოფურიძემ**, აღნიშნა, რომ დღევანდელ შეხვედრაზე წამოჭრილ პრობლემატურ საკითხებს ა(ა)იპ-ის დირექტორებთან პირადად განიხილავს და თავის შეხედულებას საკრებულოს წევრებს შემდგომში დეტალურად მოახსენებს.

ეკა შავიძე

ხარაგაულის ქუნიციპალიტეტის ოთხ სოფელში ბაზიფიცირების სამუშაოები დასრულდა

ხარაგაულის ოთხი სოფლის– ბაზალეთის, ჩხერის, ახალსოფლისა და თეთრაწყაროს – გაზიფიცირება დასრულდა. ამის შესახებ ინფორმაცია, „სოკარ ჯორჯია გაზის“ კონტრაქტორი ფირმის, შპს „ინტერგაზის“ დირექტორმა, **ვასილ აბულაძემ**, მოგვაწოდა. მან ჩვენთან საუბარში დაადასტურა, რომ კომპანიამ ზემოთ ხსენებულ სოფლებში აზომვითი სამუშაოები დაიწყო, რომელიც რამდენიმე დღეში დასრულდება. ამის შემდეგ დარჩება მხოლოდ შიდა სამუშაოები, რაც უკვე მოსახლეობაში ბუნებრივი აირის ინდივიდუალურად შეყვანის პროცედურებს გულისხმობს.

ბაზალეთის გაზიფიცირების სამუშაოები მაჟორიტარმა დეპუტატმა, **ვარლამ ჭიპაშვილმა**, პირადად მოინახულა. ჭიპაშვილმა მადლობა გადაუხადა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელს, ბატონ **კობა ლურსმანაშვილს**, იმისათვის, რომ ბაზალეთში გაზიფიცირების სამუშაოების განხორციელება სწორედ მისი დამსახურებით მოხდა. დეპუტატი იმედს გამოთქვამს, რომ უახლოეს მომავალში ღარიხევის, ქროლის და წიფის გაზიფიცირებაც მოხდება.

ბაზალეთის მკვიდრი **მანანა ჭიპაშვილი** თვლის, რომ ბუნებრივ აირს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლისთვის. ის იდმადლიერებას გამოხატავს ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც გარკვეული წვლილი შეიტანა აღნიშნული პროექტის განხორციელებაში.

შესრულებული სამუშაოებით კმაყოფილია თეთრაწყაროში მცხოვრები **თეონა ვეფხვაძეც**. იგი მიიჩნევს, რომ ბუნებრივი აირის შეყვანა სოფელში ბევრად გაამარტივებს ცხოვრებას.

აღსანიშნავია, რომ „სოკარ ჯორჯია გაზი“ მოსახლეობას საშუალებას აძლევს, მრიცხველის დადგმის საფასური განვადებით გადაიხადოს.

ეკა შავიძე

გედსამანიის გზის მობეტონებ გაგრძელდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის, **არჩილ მაღრაძის**, ინფორმაციით, სოფელ გედსამანიის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია უახლოეს მომავალში გაგრძელდება. აღნიშნული გზის მშენებლობისთვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ტენდერი 29 დეკემბერს გამოაცხადა. გამოვლინდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მიმდემი“, რომელიც სამკილომეტრიანი გზის მშენებლობას უზრუნველყოფს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით, გზის გასწვრივ მოეწყობა სანიაღვრე არხები და სარეაბილიტაციო სამუშაოები 29 მაისამდე დასრულდება.

გედსამანიის გზის მობეტონება, გასულ წელს ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ „დალა -73 -მა“ დაიწყო, თუმცა ვალდებულება ბოლომდე ვერ შეასრულა. აქედან გამომდინარე, მასთან ხელშეკრულება შეწყდა და დარჩენილი მონაკვეთის რეაბილიტაციისათვის საჭირო გახდა ტენდერის განმეორებით გამოცხადება.

სამუშაოების დასრულების შემდეგ სოფელ გედსამანიის მაცხოვრებლები თბილისი-ლესელიძის ცენტრალურ მაგისტრალს 3-კილომეტრიანი სრულად რეაბილიტირებული გზით დაუკავშირდებიან.

ეკა შავიძე

მოულოდნელმა სიხარულმა გამაოგნა...

სიკეთის ნერგი ყველგან ხარობს, ყველგან და ყველაფერში გამოვლინდება სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა შინაარსით...

სიკეთის, სიყვარულის, უსაზღვრო მადლიერების შუქითაა განათებული ის მოულოდნელი სიხარული, რაც წინასაახალწლო დღეებში განიცადა მესამე საჯარო სკოლის ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, ქალბატონმა ვენერა ყიფიანი – კიკნაძემ.

– ახლობლის დაკრძალვიდან დაბრუნებულმა ვეტაფთიაქში შევიარე – გვიამბობს ქალბატონი ვენერა – უეცრად ჩემმა მობილურმა ტელეფონმა უცხო ნომერი დააფიქსირა, ცოტა ხანში კი ქალბატონის ხმა გაისმა:

– ქალბატონი ვენერა კიკნაძე ბრძანდებით?

– დიახ, გახლავართ!

– ქალბატონო, მინდა, გაცნობოთ, რომ თქვენმა ყოფილმა მოსწავლემ, ტარიელ აბრამიშვილმა, ყოველთვიურად 100 ლარი დაგინიშნათ!

მოულოდნელობით გაოგნებულმა დიდხანს ვერ დავიმორჩილე ემოცია, მხოლოდ შეკითხვა მოვახერხე, თუ ვინ იყო ამ სიხარულის მაუწყებელი – მე ბუღალტერი ვარ, ღმერთმა გვიმრავლოს ღირსეული პედაგოგის გარჯა – შრომის ასეთი დამფასებლები...

ჩემი ემოცია, ჩემი სიხარული აფთიაქში მყოფთაც გადაედოთ. მე კი ფიქრებით გარდასულ წელთა მოგონებებში გადავინაცვლე...

უამრავი თაობა დავაფრთიანე, ამჯერად ჩემ თვალწინ ცქრიალა გოგო – ბიჭების იმ ნაკადმა გაიარა, რომელიც ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობითა და, შესაბამისად, მაღალი აკადემიური წარმატებით გამოირჩეოდა. სწორედ ასეთი იყო ის კლასი, რომელშიც ტარიელ აბრამიშვილი სწავლობდა.

უამრავი მოგონება მაკავშირებს მათ ბავშვობასთან, იმ ლამაზ დღეებთან, როცა ვუკვლევდი მათ გზას ცოდნის სიმაღლეებისაკენ. ჩვენი სკოლა რკინიგზის სამმართველოს სასწავლებელთა განყოფილებას ეკუთვნოდა. ხშირად ვატარებდით სახაზო გაკვეთილებს. მახსოვს, ფიზიკურად თითქმის ყველაზე პატარა ტარიელი სწავლაში ტოლს არვის უდებდა. განსაკუთრებით მათემატიკა უყვარდა...

მესამე კლასში მათემატიკის ერთერთ სახაზო გაკვეთილზე ტარიელმა ისე სწრაფად და სწორად უპასუხა ყოველ შეკითხვას, რომ დამსწრემ აღფრთოვანებით ჩაიკრა გულში და კოცნით დააჯილდოვა...

ჩემი აღზრდილებიდან ყურადღება არასდროს მაკლია, მაგრამ ყველაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის ის წარმატებებია, რომლებსაც ისინი აღნევენ პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში... ყურადღება ძალიან მახარებს, მაგრამ სიხარულს ჩემგან წუხილიც ახლავს, როცა ისინი მატერიალურად იხარჯებიან...

* * *

პედაგოგის მიმართ ასეთი გულთბილობის გამოჩენისათვის მადლობის გადასახდელად ტელეფონით დავუკავშირდით ტარიელ აბრამიშვილს. მან ამ სიკეთის სანაცვლოდ, მადლობა შორს დაიჭირა:

– ეს რა სამადლობელია იმ ღვაწლთან, იმ დიდ სიყვარულთან, რასაც ვენერა მასწავლებელი ჩვენ მიმართ ამჟღავნებდა. ის ნამდვილად იყო ჩვენი „მეორე დედა.“ ზოგადად კი თითოეული ჩვენგანი ვერც მშობლისა და ვერც მასწავლებლის მიმართ ვერ შეძლებს სანაცვლო ვალის გადახდას.

* * *

ჩვენო ტარიელ!

მთხოვე, რომ ამ, თითქოსდა უმნიშვნელო, ფაქტის აფიშირებისაგან თავი შეგვეკავებინა, მაგრამ შენი „ბობოქარი და ხმაურიანი“ მასწავლებლის, ვენერა კიკნაძის, სურვილს წინ ვერ აღვუდექი...

მახარებს, რომ შენ ჭეშმარიტი ქრისტიანი ხარ, აღზრდილი იმ ქართულ ტრადიციულ ოჯახში, რომელსაც ქალბატონი დარეჯან ლომიძე და ბატონი პრამონ აბრამიშვილი მეთავეობდნენ...

ამიტომ არ გამკვირვებია შენგან გააზრებული სახარებისეული სიბრძნე „სამადლო საქმე მალვითა სჯობს და ღმერთიც უფროსად შეუწირავს.„

უფალმა სანაცვლო მადლი მოაშუქოს შენს ოჯახს და შენი სამომავლო ყოფის ყოველ დღეს!

P.S. ამ სურათის ხილვით კიდევ ერთხელ დაუბრუნდები ნეტარ ბავშვობას, თანაკლასელებს, შენს საყვარელ რკინიგზის N10 საშუალო სკოლასა (დღევანდელი N3 საჯარო სკოლა) და უსაყვარლეს მოძღვარს – ვენერა ყიფიან – კიკნაძეს.

სიყვარულით,

მერი გიორგიძე

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ხარაგაულში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები კვლავ გრძელდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2017 წლის სამოქმედო გეგმაში ძირითად პრიორიტეტად გზების რეაბილიტაცია განისაზღვრა. ამ კუთხით სამუშაოები მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. ბაზალეთისა და ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ამორტიზებული გზების გარკვეულ მონაკვეთებზე სარემონტო სამუშაოები დასრულდა. გზებზე ბეტონის საფარი დაიგო. სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია შპს ,,მაქსიმმა“ შეასრულა. პროექტის ღირებულებამ 32 804 ლარი შეადგინა. სარეაბილიტაციო სამუშაოები 2016 წლის 20 ოქტომბერს დაიწყო და დეკემბრის ბოლოს დასრულდა.

რა? სად? როდის? რეგიონულ ჩემპიონატში ხარაგაულის N3 საჯარო სკოლა მეორე ადგილზე გავიდა

20 იანვარს საქართველოს ხუთ რეგიონში (სამეგრელო, გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, კახეთი, ბათუმი) პროექტ “ჩვენი მკითხველის“ ფარგლებში ინტელექტუალური თამაშის “რა? სად? როდის?“ მეორე ეტაპი გაიმართა. პროექტი ეროვნული ბიბლიოთეკის ორგანიზებითა და რეგიონული ბიბლიოთეკების მხარდაჭერით ხორციელდება, რომლის მიზანიც ახალგაზრდებში წიგნიერების დონის ამაღლებაა.

რეგიონულ ჩემპიონატში ხარაგაულიდან დაბის N3 საჯარო სკოლის გუნდი „შერლოკი“ მონაწილეობდა და მეორე ადგილი დაიკავა.

„კონკურსზე იყო ლიტერატურული შეკითხვები, რომლებიც მოიცავდა ყველა ეპოქის მწერლობას. მონაწილეები დაინტერესდნენ იმით, რომ იკითხონ ბევრი და მომავალი წლისათვის უკეთ მოემზადონ,“– განმარტა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ნიკოლოზ მაჭავარიანმა. ბატონი ნიკოლოზის ინფორმაციით, ცენტრალური ბიბლიოთეკა N3 საჯარო სკოლის ინტელექტუალ გუნდს აპრილის თვეში საჩუქრად ექსკურსიას მოუწყობს.

შეგახსენებთ, ინტელექტ ჩემპიონატი – „რა? სად? როდის?“ სამ ეტაპად ხორციელდება. ჩემპიონატის მესამე ფინალური ეტაპი და გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია თებერვალში ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართება.

თამარ მაღრაძე

2017 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში თოხმეტი სოფელი გამჩისხველიანდება

ხარაგაულის მოსახლეობა ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე პროტესტს ხშირად გამოხატავს. ამინდის მცირედი გაუარესების შემთხვევაში კი დენის შეწყვეტა ხდება. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია ხარაგაულის მაღალმთიანი სოფლები. მოძველებული და დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზების გამო აქ მცხოვრებლებს ელექტროენერგიის გარეშე ყოფნა ხშირად უწევთ. ასევე დროში გაწელილია ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი. **იგეგმება თუ არა მიმდინარე წელს ხარაგაულის რომელიმე სოფლის გამრიცხველიანება, რა არის იმის მიზეზი, რომ უამინდობის გამო მუნიციპალიტეტის გარკვეულ ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება უწყდება. ამ და სხა მნიშვნელოვანი საკითხების გასარკვევად სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტს, თეონა გეგუჩაძეს, ვესაუბრეთ.**

– მიუხედავად ქსელის სარეაბილიტაციო, პროფილაქტიკური და ზამთრის სეზონისთვის მოსამზადებელი სამუშაოებისა, რომლებსაც ,,ენერგო-პრო ჯორჯია“ პერმანენტულად ატარებს ელექტროგამანაწილებელ ქსელში, სამწუხაროდ, ზოგ შემთხვევაში შეუძლებელია ავარიული გამორთვების სრულად აღმოფხვრა. განსაკუთრებით მაღალმთიან ზონებში, სადაც დიდთოვლობის პირობებში გადაადგილებაც შეზღუდულია. კომპანია და მისი მომსახურების ცენტრები მაქსიმალურად არიან მობილიზებული, რომ დაზიანების შემთხვევები უმოკლეს ვადებში აღმოიფხვრას და მომხმარებელს ძაბვა მალევე მიეწოდოს. ხარაგაულის მომსახურების ცენტრის თითოეული თანამშრომელი მაქსიმუმს აკეთებს იმისათვის, რომ ოპერატიულად ჩატარდეს ყველა სამუშაო. კომპანიას შესყიდული და მომსახურების ცენტრებში გადანაწილებული აქვს საჭირო მასალა და ინვენტარი, რაც გაუთვალისწინებელი ავარიების შემთხვევაში აღდგენითი სამუშაოების მაქსიმალურად ოპერატიულად წარმოების შესაძლებლობას იძლევა. გარდა ამისა, კომპანიის ყველა მომსახურების ცენტრში და, მათ შორის, ხარაგაულში ხორციელდება ქსელის სარეაბილიტაციო და გაჯანსაღების პროექტები, რათა აბონენტების ენერგომომარაგება უფრო საიმედო გახდეს.

– რა მდგომარეობაშია ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული ელექტროგადამცემი სადენები? რატომ არ ხდება ამორტიზირებული საყრდენების შეცვლა?

-ხარაგაულის მომსახურების ცენტრის ბალანსზე ამჟამად რამდენიმე ათასი 0,4/6/10 კვ ხის, ლითონისა და რკინა-ბეტონის საყრდენია. ეს რიცხვი სისტემატურად იცვლება ქსელის გაფართოებასთან და რეაბილიტაციასთან ერთად. კომპანიის პერსონალი სისტემატურად ცვლის ან ასწორებს ელგამანაწილებელ ქსელში არსებულ დაზიანებულ ან ამორტიზებულ საყრდენებს. მხოლოდ გასული 2016 წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიცვალა და დამონტაჟდა 699 საყრდენი და დაახლოებით 50 100 მეტრი სადენი. ეს პროცესი გაგრძელდება მომავალშიც, როგორც ქსელის გაჯანსაღების პროექტების ფარგლებში, ისე ავარიული სიტუაციების აღმოსაფხვრელად.

– იგეგმება თუ არა მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის რომელიმე სოფლის გამრიცხველიანება და საერთო ჯამში როდის დასრულდება ეს პროცესები?

– 2017 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გამრიცხველიანდება 12 სოფელი: საბე, ჭარტალი, ანიულა, ბეჟათუბანი, გოლათუბანი, ზვარე, ნუნისი, ფონა, ქვები, ჩრდილი, წიფა და მარელისი. ამ სოფლებში დაახლოებით 1370 მომხმარებელს დაუმონტაჟდება ახალი აღრიცხვის კვანძები, რისთვისაც კომპანია 480 000 ლარამდე ინვესტიციას განახორციელებს. „ენერგო-პრო ჯორჯია“ გეგმავს 2017 წელს მთლიანად დაასრულოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამრიცხველიანება.

– ელექტროენერგიაზე ფასის ცვლილებასთან დაკავშირებით რაიმე სიახლე ხომ არ განხორციელდება უახლოეს მომავალში?

– ელექტროენერგიის ღირებულებას განსაზღვრავს და ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. შესაბამისად, კომპანია არ არის უფლებამოსილი, ისაუბროს ტარიფის შესაძლო მომატება-არმომატების შესახებ.

ეკა შავიძე

2017 წელს ხარაგაულში სოციალური პროგრამების დაფინანსება 90 000 ლარით გაიზარდა

2017 წელს ხარაგაულში სოციალური პროგრამების დაფინანსება 90 000 ლარით გაიზარდა.

2016 წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან სოციალურ მიმართულებებზე 609,8 ათასი ლარი დაიხარჯა. 2017 წელს კი ეს ციფრი 90 000 ლარით გაიზარდა. საერთო ჯამში გასულ წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2 566 ადამიანს დაეხმარა.

მათ შორის:

• სამედიცინო მომსახურებისთვის 492 ბენეფიციარზე გაიცა 165 040 ლარი;

• მედიკამენტების შესაძენად 787 მოქალაქეს გაეწია დახმარება, რომელზეც ჯამში 84 251 ლარი დაიხარჯა;

• C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვისთვის საჭირო კვლევების დასაფინანსებლად 16 მოქალაქეს გაეწია ფინანსური დახმარება, თანხით – 4 469 ლარი;

• კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 0-18 წლამდე ასაკის 3 ბენეფიციარს ელემენტის შესაძენად ჩაერიცხა – 2 996 ლარი;

• სარიტუალო ხარჯებისთვის დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 46 გარდაცვლილის ოჯახს თანხით – 9 400 ლარი;

• ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე და ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება, სატრანსპორტო ხარჯით შეადგენს 16 800 ლარს (17 ბენეფიციარი);

• ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 432 მოქალაქეს, თანხით 86 900 ლარი;

• „ალილოს“ დღესასწაულთან დაკავშირებით 50 სოციალურად დაუცველ და უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს გაეწია 1 510 ლარის ღირებულების დახმარება საკვები პროდუქტების სახით. ასევე, ახალგაზრდული საკრებულოს ინიციატივით, 520 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტებით და პირველადი მოხმარების საგნებით გაეწია დახმარება დაბასა და ახლომდებარე სოფლებში უკიდურესად გაჭირვებულ 8 ოჯახს;

• ძველით ახალი წლისთვის 72 ოჯახს (უსინათლოები, დევნილები) გაეწია ფინანსური დახმარება 2 160 ლარის ოდენობით;

• 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ 2 მოქალაქეს – 600 ლარი (თითოეულს 300 ლარი);

• ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით სამამულო ომის 17 ვეტერანს გადაერიცხა 3 400 ლარი (თითოეულს 200 ლარი);

• ,,დედის დღესთან“ დაკავშირებით 76 მრავალშვილიან (4 და მეტი შვილი) ოჯახს –3 800 ლარი;

• აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 237 (დევნილებსა და უკიდურესად გაჭირვებულ) ოჯახს – 7 110 ლარი (თითოეულს 30 ლარი);

• 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულის ოჯახის დახმარება – 500 ლარი;

• საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახებს, რომლებიც არ არიან ჩართულნი სახელმწიფო პროგრამაში – 8 000 ლარი (თითოეულს 2000 ლარი);

გაგრძელება ▶ 4 გვ.

2017 წელს ხარაგაულში სოციალური პროგრამების დაფინანსება 90 000 ლარით გაიზარდა

▶3 გვ.

• ომის ვეტერანებს ყოველთვიური დახმარება კომუნალური გადასახადებისათვის – 5 250 ლარი;

• უსინათლოთა კავშირის წევრ მოქალაქეებზე ყოველთვიური დახმარება კომუნალური გადასახადებისათვის – 17 970 ლარი;

• აუტიზმის და დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით 10 ბენეფიციარს გაეწია დახმარება 1 000 ლარის ოდენობით (თითოეულს 100 ლარი);

• ჩერნობილის აფეთქების სალიკვიდაციო სამუშაოებისას დაზარალებულებს (7 ადამიანი) გაეწია დახმარება 700 ლარის ოდენობით;

• შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდასაჭერად – 12 115 ლარი;

• ხანდაზმულთა სოციალური დაცვის მიმართულებით დახარჯულია 500 ლარი;

• უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისა და მარტოხელა მოხუცებისთვის შეძენილ იქნა 4 800 ლარის სათბობი მასალა;

• ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამის განსახორციელებლად დახარჯულია 31 600 ლარი (189 ახალშობილი);

• ომის ვეტერანისა და დევნილის დაკრძალვის ხარჯისთვის 9 გარდაცვლილის ოჯახს გაეწია დახმარება 2 250 ლარის ოდენობით;

• სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე 16 ოჯახს, დაზიანების კატეგორიების მიხედვით, გაეწია დახმარება 30 000 ლარის ოდენობით (მათ შორის: პირველი კატეგორია – 14 ოჯახი, მეორე კატეგორია, ხანძრის შედეგად დაზარალებული – 2 ოჯახი);

• მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე გამგეობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 4 800 ლარი. ასევე, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უბედური შემთხვევის შედეგად განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობის მქონე 3 ბენეფიციარს გაეწია შესაბამისი დახმარება;

• სოციალური პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტში მოქმედებს ა(ა)იპ „სათნოების სახლი“, რომელიც კვირაში 6 დღე ემსახურება 73 ბენეფიციარს და თორმეტ თვეში ამ მიმართულებით დახარჯულია 93 200 ლარი;

• ბორის საჯარო სკოლა-პანსიონის ბაზაზე არსებული დღის ცენტრისთვის შეძენილია 6 600 ლარის ღირებულების ინვენტარი.

სამძიმარი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან და სამძიმარს უცხადებენ ინგა ლურსმანაშვილს, მამის, შრომისმოყვარეობითა და მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეული ღირსეული ხარაგაულელის,

ანჭელ ლურსმანაშვილის

გარდაცვალების გამო.

რა ადრე წახვედი...

(ქალბატონ ლალი კვირიკაშვილი – ოქრომჭედლიძის ნათელ ხსოვნას)

რა ადრე წახვედი...

არადა, როგორი საჭირო იყო ამ სამზეოში შენი ყოფნა დიდხანს, ძალიან დიდხანს...

შენ ხომ სალბუნად ედებოდი ყველას სულის ტკივილს, შენი მადლიანი ხელი მუდამ სხვათა თანადგომისაკენ იყო გაწვდილი...

თითქმის 64 წელი იწერებოდა შენი ლამაზი სულის ბიოგრაფია, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, დაუსრულებელი დარჩა შენი ცხოვრების წიგნი, რომელიც კიდევ ბევრი საინტერესო ფურცლით უნდა შევსებულიყო...

შენს სულთან განშორება დიდი ტკივილია ამ უმადურ წუთისოფელში დარჩენილთათვის. ბრძენ რუსთველს დავესესხები: „ჩვენ უფრო გვტკივის იგი, ვინ დაგვაკლდა სწორად თავისა.„

* * *

ქალბატონო ლალი!

ადრეული წლებიდან ერთი მოგონება ამოტივტივდა ჩემს მეხსიერებაში. იმჯერად ნაცნობობის ძალზე მოკლე პერიოდი გვაკავშირებდა, ისე რომ, კარგად არ ვიცნობდი შენს ოჯახურ ყოფას. კიცხში დაკრძალვაზე ვიმყოფებოდით. თქვენთან ერთად რამდენიმე ვიდექით მშვენიერი ეზოს კუთხეში. ალბათ არც ერთი ჩვენგანი არ მიაქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას ღობესთან თავისი წიწილებით მოკალათებულ კრუხს. ფრთებქვეშ რაც არ დატეოდა, ფრთებზე ჰყავდა შემომსხდარი და ნისკარტით მალიმალ ეალერსებოდა...

ეს იდილიური სურათი მხოლოდ მაშინ შევნიშნეთ, როცა შენ სევდიანი გამომეტყველებით ჩაილაპარაკე:

– რა ბედნიერი დედა ხარ, კრუხო, ნეტავი შენ!

სწორედ მაშინ გახდა ჩემთვის ცნობილი, რომ დედობის ღვთიურ მადლს დიდი ხანია, ესწრაფვოდი...

...და უფალმა მოიღო მოწყალება. თქვენს ფუძე – კარში ბაბუის სეხნია ლადო შემოფრინდა... სიყვარულის უანგარიშოდ და უშურველად გამცემი დედა იყავი შენი ერთას მიმართ...

ლადო დააოჯახე და თავს ევლებოდი საკუთარი ქალიშვილის ტოლფას რძალს, ლანა პავლაძეს...

ამაღლდა ოქრომჭედლიძეთა ჭერი, ტყუპმა შვილიშვილმა – ვაჩემ და ლუკამ – აახმიანა გარემო...

ჩვენო ლალი!

შენი ნაადრევი წასვლით კეთილ საქმეთა ასპარეზი უფრო გაუფართოვე შენს ძვირფას მეუღლეს, შენს ამირანს, რომ ათეული წლების შემდეგ შენთან მოსულმა, გახაროს შენგან ნალოლიავები ოჯახის გაძლიერება, შენი ვაჩესა და ლუკას დაფრთიანება, კაცურ კაცებად ჩამოყალიბება...

გაივლის წლები, ცხოვრება თავისი მდინარებით წავა... ლადუშა ოქრომჭედლიძისა და თინათინ დუგლაძის კერაზე გამრავლდებიან თვალხატულა ასულები, მზეჭაბუკები, რომელთაც სიკეთის შენეული მადლი წარუძღვებათ... ისინი არასოდეს ჩააქრობენ შენი ხსოვნის სანთელს და ყველას ეტყვიან:

-ჩვენი სიკეთე არ გეუცხოოთ, რადგან ჩვენ სიკეთით გულსავსე ადამიანების: ლალი კვირიკაშვილი – ოქრომჭედლიძისა და ამირან ოქრომჭედლიძის შთამომავლნი ვართ!

ამინ! ისმინე, უფალო!

გულისტკივილით,

მერი გიორგიძე

კარაოკე ფართი და სიმღერისა და ცეკვის კონკურსი ხარაგაულში

„ახალგაზრდული კლუბის“ (ლიდერები გიგა ჭყოიძე, ბერიკა ებანოიძე) ინიციატივით, ხარაგაულში ღია ესტრადაზე საახალწლო გასართობი ღონისძიება მოეწყო.

კონცერტის წამყვანის, გიგა ჭყოიძის, ინფორმაციით, გასართობ ღონისძიებაში დაბის მოსახლეობასთან ერთად ხარაგაულის სოფლებიდან ჩამოსული ახალგაზრდობიც ჩაერთნენ.

ცეკვის კონკურსში ანა ჭიპაშვილმა და დათო კაკოიშვილმა გაიმარჯვეს, ხოლო კონკურსში „ცეკვა კარტოფილებით“ – ლიზი ლაცაბიძემ და ანა კვინიკაძემ. გამარჯვებულები ერთი შეკვრა გაზირებული სასმლით – „არსი კოლა“ – დაჯილდოვდნენ.

ლიდერები მადლობას უხდიან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობას მხარდაჭერისა და თანადგომისთვის და ახალგაზრდების სახელით სურვილს გამოთქვამენ, რომ ასეთი ღონისძიებები ხშირად იყოს ხარაგაულში.

კარაოკე ფართს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ.

გამგებლის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებელს დაექვემდებარებიან

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებაში ცვლილებები განხორციელდა. ამის შესახებ ინფორმაცია 18 იანვარს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ამავე სამსახურის უფროსმა, **კახაბერ გოლუბიანმა**, წარმოადგინა. მისი განმარტებით, ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები გამგებელს დაექვემდებარებიან. ამ დრომდე ისინი, თანამდებობათა ჩამონათვლის მიხედვით, კოორდინაციის განყოფილებაში ირიცხებოდნენ. ცვლილების შედეგად წარმომადგენლებს დაუბრუნდებათ აქტის შედგენის, ცნობის გაცემისა და ბეჭდის გამოყენების უფლება. კახაბერ გოლუბიანის განმარტებით, გამგეობის კოორდინაციის განყოფილებას მხოლოდ ადმინისტრაციული ერთეულების სპეციალისტები დაექვემდებარებიან.

საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, **ვარლამ ჭიპაშვილი**, იმ სპეციალისტების საკითხით დაინტერესდა, რომლებიც ადმინისტრაციულ ერთეულებში იყვნენ დასაქმებულნი და ხელშეკრულება შეუწყდათ. **კახაბერ გოლუბიანის** თქმით, აღნიშნულ პირებს ხელშეკრულების ვადა ამოეწურათ და გამგეობა მუშაობს, რომ უახლოეს მომავალში ისინი თავიანთ პოზიციებს დაუბრუნდნენ.

წარმოდგენილ ცვლილებას დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი ერთხმად დაუჭირა.

თამარ მაღრაძე

საკრებულოს სხდომაზე საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს

18 იანვარს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს. საკითხი მათ გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **ვლადიმერ გელაშვილმა** გააცნო. ცვლილების თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის პირველი იანვრისათვის არსებული ნაშთიდან, 464,0 ათასი ლარი 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯებში მიიმართა, აქედან სახელმწიფო ფონდებით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი 455,0 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი სახსრების ნაშთი – 9,0 ათასი ლარი გახლავთ. აღნიშნული თანხიდან, 263 500 ლარი სოფელ გედსამანიაში გზის რეაბილიტაციისთვის გამოიყო, ხოლო 36 700 ლარი – საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოებისთვის. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდიდან შიდა გზების სარეაბილიტაციოდ – 59 500 ლარი მიიმართა, ხოლო ხიდ-ბოგირების სარეაბილიტაციოდ – 22 000 ლარი.

მოხსენებითი ბარათის თანახმად „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებელი თანხიდან 23 ათასი ლარი წყლის სისტემის რეაბილიტაციას მოხმარდება, 46 400 ლარი კი 2016 წელს გაფორმებული სხვადასხვა ხელშეკრულების დასასრულებლად დაიხარჯება.

დამატებით სუბსიდიას საჭიროებს ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობა“ 9 000 ლარის ოდენობით. აქედან 4 ათასი ლარი 2016 წლის დეკემბერში განხორციელებული შესყიდვების დასაფარავად, ხოლო 5 000 ლარი დაზიანებული ავტომანქანის შესაკეთებლად. 23 ათას ლარს ითხოვდა ასევე შპს „ხარაგაული-2011“.

„ხარაგაულკეთილმოწყობაზე“ თანხის დამატებამ საკრებულოს წევრებს შორის უკმაყოფილება გამოიწვია. დეპუტატების განმარტებით, კეთილმოწყობის სამსახურს ავტომანქანის შესაკეთებლად თანხა რამდენჯერმე ჩაურიცხეს, მაგრამ კვლავ იგივე მდგომარეობაა. საკრებულოს წევრები არ დაეთანხმნენ შპს „ხარაგაული-2011“-ისთვის თანხების მიცემასაც.

საბიუჯეტო ცვლილებას კენჭი მუხლობრივად ეყარა. ხმათა უმრავლესობით ა(ა)იპ-ისა და შპს სუბსიდირების საკითხს დეპუტატები 6 თებერვალს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე განიხილავენ. ამავე სხდომაზე მოწვეული იქნებიან აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელები, რომლებიც არგუმენტირებულად დაასაბუთებენ თუ რაში ესაჭიროებათ დამატებითი თანხები. რაც შეეხება საბიუჯეტო ცვლილებაში წარმოდგენილ სხვა საკითხებს, რომლებიც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას ეხებოდა, საკრებულოს უმრავლესობამ მხარი ერთხმად დაუჭირა.

თამარ მაღრაძე

ქველმოქმედება ბორის საჯარო სკოლა-პანსიონში

არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ფონდი თბილისის მოზარდთა სახლმა“ და პანსიონის ამერიკელმა მეგობრებმა ბორის საჯარო სკოლის ყველა მოსწავლესა და სკოლამდელი აღზრდის ჯგუფის აღსაზრდელებს (სულ 172 ბავშვი) საზამთრო ტანსაცმელი: ქურთუკები, ხელთათმანები და ფეხსაცმელები გადასცეს. სკოლის ადმინისტრაცია დიდ მადლიერებას გამოთქვამს და განსაკუთრებულ მადლობას უხდის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს: ქალბატონ თამარ გრიგოლიას, ბატონ ვასო ნატროშვილს, ამერიკელ მეგობრებს, რომლებმაც სიხარულით აავსეს მათი აღსაზრდელებისა და მშობლების გულები.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12